

შპს ინსეკო

ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

სექტემბერი 2024

თბილისი

შპს ინსეკო

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

შპს "ინსეკოს" (შემდეგში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგება შედგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, ამავე თარიღში დამთავრებული წლის სრული შემოსავლის, საკუთარი კაპიტალის ცვლილების და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, რომელთა შორისაა ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა.

თანდართული ფინანსური ანგარიშგება სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას და საქმიანობის შედეგებს 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე საკუთარი კაპიტალის ცვლილების და ფულადი სახსრების მოძრაობას აღნიშნული თარიღით დასრულებული წლისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის მცირე და საშუალო საწარმოებისათვის (მსს ფასს) შესაბამისად.

სარჩევი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
სრული შემოსავლის ანგარიშგება	4
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	5
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	6
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	7-13

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

	შენიშვნა	31/12/23	31/12/22	31/12/21
აქტივები				
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	4	962,206	8,534,538	420,078
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	5	103,113	793,573	63,898
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები		-	-	8,913
მარაგები	6		211,123	
სხვა მოკლევადიანი აქტივები	5	1,237,124	1,183,606	
სულ მიმდინარე აქტივები		<u>2,345,706</u>	<u>10,746,683</u>	<u>492,889</u>
ძირითადი საშუალებები	7	19,804,915	5,029,316	7,529,695
სულ გრძელვადიანი აქტივები		<u>19,804,915</u>	<u>5,029,316</u>	<u>7,529,695</u>
სულ აქტივები		<u>22,150,621</u>	<u>15,775,999</u>	<u>8,022,584</u>

ვალდებულებები				
სავაჭრო ვალდებულებები	8	749,273	991,287	49,260
საგადასახადო ვალდებულებები	8	35,690	414,507	21,571
გამოუმუშავებელი შემოსავალი				
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	8	7,492,195		4,316,374
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები				
სულ ვალდებულებები		<u>8,277,158</u>	<u>1,405,794</u>	<u>4,387,205</u>

საკუთარი კაპიტალი				
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	9	2,511,087	2,511,087	2,511,087
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	9	11,362,376	11,859,118	1,124,292
სულ საკუთარი კაპიტალი		<u>13,873,463</u>	<u>14,370,205</u>	<u>3,635,379</u>
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		<u>22,150,621</u>	<u>15,775,999</u>	<u>8,022,584</u>

დირექტორი

გიორგი ასათიანი

სრული შემოსავლის ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

	შენიშვნა	31/12/23	31/12/22
ნეტო ამონაგები		3,576,548	19,368,998
საქონლის გაყიდვიდან	10	1,630,047	17,602,899
მომსახურების გაწევიდან	10	1,946,501	1,766,099
სხვა			
გაყიდვების თვითღირებულება	11	(1,628,492)	(8,594,784)
საერთო მოგება		1,948,056	10,774,214
სხვა საოპერაციო შემოსავალი	10	88,395	
დასაქმებულთა ანაზღაურება	12	(65,051)	(146,176)
ცვტა/ამორტიზაციის ხარჯი	12	(805,631)	(417,584)
საპროცენტო შემოსავალი	13	209,645	279,416
საპროცენტო ხარჯი	13	(366,718)	(72,806)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	12	(88,946)	(95,733)
სულ საოპერაციო ხარჯები		(1,028,306)	(448,374)
საოპერაციო მოგება		919,750	10,325,840
გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:			
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით			
ვაჭრობიდან და სავალუტო სახსრების გადაფასებიდან	13	(220,552)	413,495
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	13	(2,252)	(3,833)
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე		696,946	10,735,502
განგრძობითი ოპერაციებიდან			
მოგების გადასახადის ხარჯი		(141,056)	(676)
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი		555,890	10,734,826
მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)		555,890	10,734,826
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში		14,370,205	3,635,379
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)		(1,052,632)	
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს		13,873,463	14,370,205

შპს ინსეკო

დირექტორი

გიორგი ასათიანი



საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება დაუფარავი ზარალი	სულ
31.12.2021 ნაშთი	2,511,087	1,124,292	3,635,379
საწესდებო კაპიტალის ზრდა-შემცირება			
გაუნაწილებელი მოგება-ზარალი ზრდა/შემცირ			
მოცემული პერიოდის წმინდა მოგება-ზარალი		10,734,826	10,734,826
31.12.2022 ნაშთი	2,511,087	11,859,118	14,370,205
საწესდებო კაპიტალის ზრდა-შემცირება			
გაუნაწილებელი მოგება-ზარალი ზრდა/შემცირ		(1,193,688)	(1,193,688)
მოცემული პერიოდის წმინდა მოგება-ზარალი		696,946	696,946
31.12.2023 ნაშთი	2,511,087	11,362,376	13,873,463

შპს ინსეკო
დირექტორი

გიორგი ასათიანი



ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

	2023 წელი	2022 წელი
საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	(8,469,275)	13,035,789
საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	(6,165,858)	(1,241,524)
საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	7,217,314	(3,685,578)
ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)	(7,417,819)	8,108,687
ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	(154,513)	5,773
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	8,534,538	420,078
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	962,206	8,534,538

შპს ინსეკო
დირექტორი

გიორგი ასათიანი



ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

კომპანია და მისი საქმიანობა

შპს ინსეკო სამართლებრივი ფორმით წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საწარმოს, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ 02.06.2009 წელს და მინიჭებული აქვს საიდენტიფიკაციო ნომერი 205280015. კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. 78, 3/10. კომპანიის ძირითადი საქმიანობას წარმოადგენს უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები, კერძოდ საკუთარი არასაცხოვრებელი ფართების გაქირავება.

წარმოდგენილი ანგარიშის ვალუტა

კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (GEL). საანგარიშგებო პერიოდში კომპანიას მიღებული აქვს მოკლევადიანი სესხები უცხოურ ვალუტაში, თუმცა კომპანიის პოლიტიკით განსაზღვრულია ოპერაციითა თანმიმდევრობა რაც სრულ თანხედრაშია საერთაშორისო სააღრიცხვო სტანდარტთან (IAS). კერძოდ ოპერაციები უცხოურ ვალუტაში - თავდაპირველად იწერება ფუნქციონალურ ვალუტაში ოპერაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით. ანგარიშის პერიოდისთვის უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივები გადაიყვანება ფუნქციონალურ ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წლის ბოლოს არსებული კურსით. ანგარიშსწორებისას წარმოქმნილი ყველა საკურსო სხვაობა აისახება მოგება-ზარალზე.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი

შესაბამისობის პრინციპი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბუთის მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად. ფინანსური ანგარიშგება არის საწარმოს ანგარიშგება 2023 წლის პირველი იანვრით დაწყებული და 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისათვის. ფინანსური ანგარიშგების თანხები დამრგვალებულია ერთეულამდე სიზუსტით.

საწარმომ პირველად გამოიყენა მსს ფასს-ი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად. შესაბამისად ეს ფინანსური ანგარიშგება არის მსს ფასს-ის შესაბამისი პირველი ფინანსური ანგარიშგება. ფინანსური ანგარიშგების სრულ პაკეტში წარმოდგენილია წინა შესადარისი პერიოდის ფინანსური ანგარიშგების, მოგება-ზარალის, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების და ფულადი სახსრების შეჯერება საანგარიშგებო პერიოდის მსს ფასს-ის შესაბამისად მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან შესადარისი ინფორმაციის გათვალისწინებით. მსს ფასს-ზე გადასვლის თარიღია 2023 წლის პირველი იანვარი.

ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება

მენეჯმენტმა მოამზადა აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებები ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვებით. აღნიშნული გადაწყვეტილების მისაღებად მენეჯმენტმა გაითვალისწინა კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, მიმდინარე გეგმები, ფულადი სახსრების მოძრაობის მიმართულება, კომპანიის ოპერაციების მომგებიანობა და საჭიროების შემთხვევაში ადგილობრივ ფინანსურ რესურსებზე წვდომა, ანგარიშის პერიოდის შემდგომ მინიმუმ 12 თვის განმავლობაში.

3. სააღრიცხვო პოლიტიკა

ამონაგების აღიარება

საკონტრაქტო ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების ღირებულებით, დარიცხვის მეთოდის შესაბამისად. იგი არ მოიცავს სავაჭრო ფასდათმობას, ასევე ვადაზე ადრე გადახდის და სხვა ფასდათმობებს. ამონაგებში ჩართულია მხოლოდ საკუთარი სახელით მიღებული ან მისაღები ეკონომიკური სარგებლის მთლიანი თანხა. საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგები აღიარდება მყიდველზე საქონლის მიწოდების და საკუთრების უფლების გადაცემის მომენტში.

მომსახურების გაწევის ამონაგები აღიარდება მომსახურების ხელშეკრულების შესაბამისად შესრულების სტადიის მიხედვით, ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

მარაგები

მარაგები აღირიცხება თვითღირებულებასა და სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესი თანხით. მარაგების გაყიდვისას მისი საბალანსო ღირებულება ხარჯად აღიარდება იმავე პერიოდში როდესაც აღიარებული იქნება შესაბამისი ამონაგები, ხოლო თვითღირებულება განისაზღვრება „პირველი შემოსავალში-პირველი გასავალში“ („ფიფო“) მეთოდით.

სხვა მოკლევადიანი აქტივები

სხვა მოკლევადიანი აქტივები, მოკლევადიანი ინვესტიციები, შეძენილი ობლიგაციები, აღირიცხება აქტივის საბალანსო ღირებულებით, ვალუტით ინვესტირებისას თავდაპირველი საბალანსო ღირებულება შეადგენს დადგენილი კურსის შესაბამის თანხას. ყოველ საანგარიშგებო თარიღისთვის ტარდება ინვესტიციების გადაფასება (არასოპერაციო მოგება ან ზარალი), ასევე თუ არსებობს გაუფასურების ნიშანი შეფასდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება საბალანსო ღირებულებას. სხვაობა, გაუფასურებული ზარალი (მოგება) აღიარდება მოგებაში ან ზარალში. განხორციელებული ინვესტიციებიდან მიღებული სარგებელი აღიარდება შემოსავლის მუხლში შესაბამისი ხელშეკრულებით დადგენილი პერიოდულობით.

სავაჭრო მოთხოვნები

მომხმარებელზე მოკლევადიანი საკრედიტო პირობებით საქონლის ან/და მომსახურების მიყიდვიდან წარმოქმნილი მოთხოვნა აღიარდება ამ პირისგან მისაღები ფულადი სახსრების არადისკონტირებული ღირებულებით.

სასესხო ვალდებულებები

ბანკიდან მიღებული სესხი ვალდებულების სახით აღიარდება გადასახდელ მოკლევადიან ვალდებულებად (გადასახდელი ძირითადი თანხა). უცხოურ ვალუტაში გამსახული სასესხო ვალდებულებები გადაანგარიშდება კომპანიის ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისთვის ეროვნული ბანკის მიერ დამტკიცებული სავალურო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი მოგება ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში. საპროცენტო ხარჯი აღიარდება ფინანსურ დანახარჯებში.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

კომპანიის სავაჭრო ვალდებულებას წარმოადგენს გამოუმუშავებელი შემოსავალი. ის წარმოადგენს სხვა ვალდებულების იმ შემთხვევას, როდესაც კომპანია დარწმუნებულია, კონკრეტულ კონტრაგენტთან, წინასწარ განსაზღვრულ ვადებში, განსაზღვრული საქონლისა და მომსახურების მიწოდების საჭიროების შესახებ და უტყუარად შეიძლება მისი ღირებულების გამოთვლა, ხოლო ანგარიშსწორება წინ უსწრებს საქონლისა და მომსახურების მიწოდებას.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების ღირებულება აღირიცხება სხვაობით თავდაპირველ თვითღირებულებასა და დაგროვილი ცვეთას ან/და გაუფასურებას შორის. ძირითადი საშუალებების თვითღირებულება შედგება მშენებლობის ხარჯის ან შესყიდვის ფასისგან, მასთან დაკავშირებული იმპორტის გადასახადების, გამოუქვითავი გადასახადების და სხვა პირდაპირი ხარჯების ჩათვლით. ნებისმიერი სავაჭრო ფასდაკლება გამოაკლდება შეყიდვის ან მშენებლობის ფასს. მცირე შეკეთება-განახლება აღიარდება მოგება/ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე. ხარჯები დაკავშირებული ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი ნაწილის ან კომპონენტების ჩანაცვლებასთან კაპიტალიზირდება და ჩანაცვლებული ნაწილი ჩამოიწერება. ყველა აქტივი წარმოადგენილია საწყისი ღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს მენეჯმენტი აფასებს, არსებობს თუ არა ძირითადი საშუალებების გაუფასურების რაიმე ნიშნები. კომპანიის პოლიტიკით თუ გაუფასურებას ექნება ადგილი, მოხდება ძირითადი საშუალებების ჩამოფასება უმაღლესი თანხით შემდეგ ორს შორის: გამოყენების ღირებულება და სამართლიან ღირებულებას გამოკლებული გაყიდვის ხარჯები. საბალანსო ღირებულების შემცირება აისახება მოგება-ზარალზე. წინა პერიოდში აღიარებული აქტივის გაუფასურების დანაკარგი გაიქვითება, თუ კი მოხდება აქტივის გამოყენების ღირებულების ან სამართლიან ღირებულებას გამოკლებული გაყიდვის დანახარჯების ღირებულების გამოსათვლელად საჭირო დამხმარებების ცვლილება.

რეალიზებული ძირითადი საშუალებების ჩამოწერისას რეალიზაციიდან მისაღები თანხების საბალანსო ღირებულებასთან შედარებით განსაზღვრული სარგებელი ან/და ზარალი აღიარდება მოგება-ზარალში.

ცვეთა

ცვეთა ძირითად საშუალებებზე გამოითვლება წრფივი მეთოდით რაც გულისხმობს აქტივების ღირებულება განაწილდეს მათი გეგმიური საექსპლუატაციო ვადის ზემოთ ნარჩენი ღირებულების გამოკლებით (ასეთის არსებობის შემთხვევაში). შემდეგი საექსპლუატაციო ვადები გამოიყენება სატრანსპორტო საშუალებები, კომპ. ტექნიკა და პერიფერიული მოწყობილობები, სხვა ძირითადი საშუალებები ცვეთისათვის:

ძირითადი საშუალება	სასარგებლო ვადა (წელი)
ავეჯი ოფისისთვის	5-20
კომპ. ტექნიკა და პერიფერიული მოწყობილობები	4
შენობა-ნაგებობები	20-50

საექსპლუატაციო ვადების დადგენისას კომპანია ხელმძღვანელობს ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტი (IAS) 16-ით

ნარჩენი ღირებულება არის სავარაუდო ღირებულება, რასაც კომპანია მიიღებდა ამჟამად ძირითადი საშუალების გაყიდვიდან, გაყიდვის ხარჯების გამოკლებით. ძირითადი საშუალებების მომსახურების პერიოდი გადაიხედება ყოველწლიურად და იცვლება საჭიროების შემთხვევაში.

მოგების გადასახადი

სსკ -ის მიხედვით საწარმოსათვის მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტია: განაწილებული მოგება, გაწეული ხარჯი ან სხვა გადახდა, რომელიც ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული არ არის; უსასყიდლოდ საქონლის მიწოდება/მომსახურების გაწევა ან/და ფულადი სახსრების გადაცემა; კოდექსით დადგენილ ზღვრულ ოდენობაზე მეტი ოდენობით გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯი.

მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტი, დივიდენდის სახით განაწილებული მოგების გარდა, იბეგრება დაბეგვრის ობიექტის წარმოშობისთანავე და საგადასახადო ვალდებულება აღიარდება ყოველი საანგარიშგებო თვის ბოლოს. საწარმოს მიერ მის პარტნიორზე დივიდენდის სახით გასანაწილებელ დივიდენდთან დაკავშირებული მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება ფასდება გაუნაწილებელი მოგების მიმართ გამო საყენებელი საგადასახადო განაკვეთით მანამ, სანამ საწარმო აღიარებს დივიდენდების გადახდის ვალდებულებას.

საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალის ინვესტირება აღიარდება ნომინალური ღირებულებით და კლასიფიცირდება როგორც საწესდებო კაპიტალი. დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება იმ პერიოდისთვის, რომელშიც იგი გამოცხადდება.

პერსონალის ხარჯი და მასთან დაკავშირებული შენატანები

ხელფასები, შენატანები საქართველოს საპენსიო და სადაზღვეო სისტემაში, წლიური შვებულების და ავადმყოფობის ანაზღაურებები, ბონუსები და არა-ფულადი სარგებლობები აღირიცხება იმ წელს, როდესაც მოხდება შესაბამისი სერვისის მიღება თანამშრომლების მიერ. კომპანიას ყავს თანამშრომლები, რომელთა სახელფასო ხარჯები და შენატანები საპენსიო სისტემაში განისაზღვრება საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად.

4. ფული და ფულის ექვივალენტები

ფულადი სახსრები	31/12/2023	31/12/2022	31/12/2021
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	958,113	5,100,688	419,829
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	4,093	3,433,851	249
სულ ფულადი სახსრები	962,206	8,534,538	420,078

ფულის ნაშთი საბანკო ანგარიშებზე შესაძლოა კლასიფიცირებული იყოს, როგორც არასარისკო, იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ბანკი, სადაც კომპანიას მიმდინარე ანგარიშები აქვს, არის სანდო და საყოველთაოდ ცნობილი საკრედიტო დაწესებულებები.

5. მოკლევადიანი ფინანსური აქტივები და მოთხოვნები

აქტივები	31/12/23	31/12/22	31/12/21
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	962,206	8,534,538	420,078
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	146,376	817,416	63,898
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	-	-	8,913
მარაგები		211,123	
სხვა მოკლევადიანი აქტივები	1,237,124	1,183,606	
სულ მოკლევადიანი ფინანსური აქტივები და მოთხოვნები	2,345,706	10,746,683	483,976

მოკლევადიანი ფინანსური აქტივებისა და მოთხოვნების უდიდეს ნაწილს კონტრაგენტებთან მომსახურებისა და სავაჭრო მოთხოვნებს წარმოადგენს, იქედან გამომდინარე, რომ აგარიშსწორებას დაახლოებით 15 დღემდე დრო სჭირდება, ეს გარემოება იწვევს თანხების დაგროვებას მოთხოვნების ანგარიშზე.

სხვა მოკლევადიანი აქტივები წარმოადგენს ერთ წელზე ნაკლები ვადით შეძენილ ობლიგაციებს. უცხოურ ვალუტაში შეძენილი აქტივები გადაიყვანება ფუნქციონალურ ვალუტაში შეძენის დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსით, ყოველთვიურად საბალანსო ღირებულების სიზუსტისთვის შეძენის ღირებულება გადაფასდება, გადაფასების შედეგი აისახება მოგება-ზარალზე. ობლიგაციების ფლობით მისაღები შემოსავლის დარიცხვა ხდება საანგარიშგებო წლის ბოლოს და ასახულია კომპანიის 'სავაჭრო და სხვა მოთხოვნების' მუხლში და შემოსავალში.

6. სასაქონლო მატერიალური მარაგები

	2023 წელი	2022 წელი	2021 წელი
სასაქონლო მატერიალური მარაგების ნაშთი			
შემოსვლა	1,117,185	214,062	975
გასვლა	-1,328,308	-2,939	-975
სასაქონლო მატერიალური მარაგების ნაშთი	-	211,123	

მარაგების აღრიცხვა ხდება თვითღირებულების მეთოდით. რაც გულისხმობს შესყიდვის ფასისა და დანახარჯების ჯამს, რომელიც გაწეულია მის სათანადო მდგომარეობაში მოსაყვანად. თვითღირებულების განსაზღვრისათვის გამოიყენება ფიფო მეთოდი.

7. ძირითადი საშუალებები

	მიწის ნაკვეთები	შენობა-ნაგებობები	კომპ. ტექნიკა და პერიფერიული მოწყობილობები	მანქანა- დანადგარე ბი	ავეჯი ოფისისთვის	სულ ღირებულება
ბალანსი 31/12/2021	456,250	6,987,853	1,822	82,162	1,608	7,529,695
მატება		6,507,638	1,350		3,000	6,511,988
გასვლა	-456,250	-8,471,328	-2131	-82,162	-496	-9,012,367
ბალანსი 31/12/2022	0	5,024,163	1,041	0	4,112	5,029,316
მატება		15,581,231				15,581,231
გასვლა		-804,772	-338		-521	-805,631
ბალანსი 31/12/2023	0	19,800,622	703	0	3,591	19,804,916

8. მოკლევადიანი ვალდებულებები

მოკლევადიანი ვალდებულებები	31/12/23	31/12/22	31/12/21
კრედიტორული დავალიანება	164	28,318	

მიღებული ავანსები	749109	962,969	49,260
გადასახადების ერთიანი ანგარიში	35,690	414,507	21,571
მიღებული მოკლევადიანი სესხები	7,492,195		4,316,374
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	8,277,158	1,405,794	4,387,205

მოკლევადიანი ვალდებულებების ნაწილს შეადგენს საიჯარო ხელშეკრულებების შეთანხმების საფუძველზე იჯარის პერიოდის ბოლო თვის საიჯარო გადასახდელების ავანსად გადახდილი თანხები. აღნიშნული თანხების დღგ გადახდილია ბიუჯეტში. საგადასახადო ვალდებულებების დაფარვის პერიოდია საანგარიშო პერიოდის მომდევნო თვის 15 რიცხვი, შესაბამისად ეს თანხები კანონმდებლობის შესაბამისად გადახდილია ბიუჯეტში. მოკლევადიანი სესხები მიღებულია საქართველოში რეგისტრირებული ბანკიდან, ვალდებულებად აღიარებულია გადასახდელი პროცენტის თანხის გარეშე. სესხები უზრუნველყოფილია კომპანიის საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობების გირაოთი, რომლის საბალანსო ნარჩენი ღირებულება 2023 წლის 31 დეკემბრისთვის შეადგენს 19,800,622 ლარს. მოკლევადიანი ვალდებულებების სამართლიან ღირებულებასა და საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა არაა.

9. კაპიტალი

შპს ინსეკოს 2023 წლის საქმიანობის შედეგად მიღებული აქვს 696,946 ლარის ოდენობის მოგება. 2023 წლის აპრილში განხორციელდა 2022 წლის მოგებიდან დივიდენდის განაწილება, დივიდენდის განაწილებამდე კუთვნილი მოგების გადასახადის 140,657 ლ და დოკუმენტურად დაუდასტურებელი ხარჯის მოგების გადასახადის 397 ლარის ბიუჯეტში ჩარიცხვა, ჯამში 2023 წელს კაპიტალი შემცირდა 1,193,688 ლარით. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე კომპანიის კაპიტალმა 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგინა 13,873,463 ლარი.

10. შემოსავალი

	31/12/23	31/12/22
ნეტო ამონაგები	3,576,548	19,368,998
საქონლის გაყიდვიდან	1,630,047	17,602,899
მომსახურების გაწევიდან	1,946,501	1,766,099
სხვა საოპერაციო შემოსავალი	88,395	

კომპანიის ძირითადი საქმიანობიდან მიღებული შემოსავლები აისახება მომსახურები გაწევიდან მიღებულ შემოსავლად. კომპანიამ 2022 წელს რეალიზაცია გაუკეთა ბალანსზე არსებულ შენობას, რეკონსტრუქციის პირობით. 2023 წელს მოხდა რეკონსტრუქციის დარჩენილი სამუშაოების მიწოდება. წინამდებარე მსგ სტანდარტით ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას წარმოიქმნა ამონაგების აღიარების კრიტერიუმების კორექტირებების აუცილებლობა, შესაბამისად დაკორექტირდა საქმიანობიდან მიღებული შემოსავლების მუხლები რეალიზაციის სრული ამონაგების ჩვენებით, რაც 2022 წელს წარმოდგენილი იყო სარეალიზაციო ფასის და თვითღირებულების სხვაობით. სხვა საოპერაციო შემოსავალში წარმოდგენილია კომპანიის კუთვნილი ობლიგაციების რეალიზაციით მიღებული მოგება 88,395 ლ, სხვაობა ობლიგაციების თვითღირებულებას და რეალიზაციის ფასს შორის.

11. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

	31/12/23	31/12/22
გაყიდვების თვითღირებულება	(1,628,492)	(8,594,784)

რეალიზებული შენობის თვითღირებულება შეადგენს ნარჩენ ღირებულებას და რეკონსტრუქციის დანახარჯებს.

12. საოპერაციო და ადმინისტრაციული ხარჯები

	31/12/23	31/12/22
დასაქმებულთა ანაზღაურება	(65,051)	(146,176)

ცვეთა/ამორტიზაციის ხარჯი	(805,631)	(417,584)
საგადასახადო ხარჯი	(60,661)	(61,173)
ბანკის საკომისიო	(22,748)	(7,767)
სხვა საოპერაციო ხარჯი	(5,537)	(22,284)
სულ საოპერაციო ხარჯები	(959,628)	(654,984)

საოპერაციო და ადმინისტრაციული ხარჯების მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს სახელფასო ხარჯი, ამორტიზაციის ხარჯი, ქონების გადასახადის და სამეურნეო ხარჯები, რაც დამახასიათებელია კომპანიის საქმიანობისთვის.

13. არასაოპერაციო შემოსავლები, არასაოპერაციო ხარჯები

	31/12/23	31/12/22
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და სავალუტო სახსრების გადაფასებიდან	(220,552)	413,495
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	(2,252)	(3,833)
საპროცენტო ხარჯი	(366,718)	(72,806)
საპროცენტო შემოსავალი	166,382	279,416

უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და სავალუტო სახსრების გადაფასებიდან კომპანიამ 2023 წელს ოპერირებისას მიიღო არასაოპერაციო ხარჯი 220,552 ლარის ოდენობით, ასევე 2,252 ლარის ხარჯი, რომელიც დოკუმენტურად დაუდასტურებელია და რომელშიც დაბეგრულია მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად. მიღებული სესხის საპროცენტო ხარჯი აღიარდება ფაქტობრივად გაწეული ხარჯის შესაბამისად.

საბანკო ანგარიშებზე განთავსებული ფინანსური აქტივების საპროცენტო შემოსავალი, ასევე ობლიგაციების მისაღები სარგებელი ასახულია არასაოპერაციო შემოსავლის საპროცენტო შემოსავლის კატეგორიაში.

14. გაუთვალისწინებელი ხარჯები, ვალდებულებები და ოპერაციული რისკები

სამართალწარმოება

საკუთარ შეფასებაზე და პროფესიონალურ რჩევაზე დაყრდნობით კომპანიის მენეჯმენტი არ ელოდება რაიმე სახის მატერიალურ დანაკარგებს მოთხოვნებთან დაკავშირებით, შესაბამისად, ფინანსურ უწყისებში რეზერვის გამოქვეყნებას არ განიხილავს.

საგადასახადო კანონმდებლობა

კომპანიის მენეჯმენტს მიაჩნია, რომ საქმიანობის შესაბამისი კანონმდებლობის და გადასახადის დათვლის მათი ინტერპრეტაცია სწორია და ნაკლებად შესაძლებელია გახდეს საგადასახადო ორგანოებთან დავის საგანი. კომპანიის საგადასახადო პოლიტიკა შენარჩუნდება საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად.

ფინანსური რისკის მართვა

კომპანიის რისკის მენეჯმენტის ფუნქციები იწარმოება, ფინანსური, საოპერაციო და იურიდიული რისკების მიხედვით. ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო რისკს (მათ შორის სავალუტო რისკს საპროცენტო რისკს და სხვა საფასურთან დაკავშირებულ რისკებს), ასევე საკრედიტო რისკებს და ლიკვიდურობასთან დაკავშირებულ რისკებს. ფინანსური რისკის მართვის პირველადი ამოცანაა ჩამოაყალიბოს მისაღები რისკის ლიმიტები და შემდეგ უზრუნველყოს არსებული რისკების ამ ლიმიტების ფარგლებში დარჩენა. საოპერაციო და იურიდიული რისკ მენეჯმენტის ფუნქციები შედგენილია იმაზე გათვლით რომ მოხდეს შიდა პოლიტიკისა და პროცედურების სწორი წარმოება, რათა აცილებული იქნას თავიდან საოპერაციო და იურიდიული რისკები.

საბაზრო რისკი

კომპანია ექვემდებარება საბაზრო რისკებს, საბაზრო რისკები ჩნდება უცხოურ ვალუტებთან მიმართებაში, საპროცენტო აქტივების და ვალდებულებების, ასევე ფასიან ქაღალდებთან მიმართებაში. მენეჯმენტი აწესებს მათთვის მისაღები რისკის შეფასებას ვალდებულებების და მოთხოვნების მონიტორინგის ყოველთვიური კონტოლით.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი არის რისკი რომ ცვლილებები სავალუტო კურსებში უარყოფითად შეიძლება აისახოს კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე. კომპანიის ძირითადი საქმიანობიდან მიღებული შემოსავლები ანგარიშდება უცხოური ვალუტის შესაბამისი კურსით ეროვნულ ვალუტაში, შესაბამისად, მენეჯმენტი მობილიზებულია ფულადი თანხები ოპერატიულად აკუმულირდეს შესაბამის ვალუტაში სესხის დასაფარად ტრანზაქციების განხორციელებისას.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი წარმოადგენს რისკს, რომ კომპანია ვერ შეძლებს მის მიერ აღებული ფინანსური ვალდებულების გასტუმრებას. კომპანიის აქვს ყოველდღიური მოთხოვნები მის ფულად რესურსებზე. მენეჯმენტი აკონტროლებს კომპანიის ფულადი ნაკადების უწყისის ყოველთვიურ ბიუჯეტს და ახდენს მის პროგნოზირებას.

15. საქმიანობის უწყვეტობა

ფინანსური ანგარიშები მომზადდა განგრძობითი საწარმოს პრინციპზე დაყრდნობით, რაც ნიშნავს იმას, რომ კომპანია შეძლებს, დააკმაყოფილოს საკრედიტო მომსახურების დაფარვის პირობები. კომპანია მომგებიანია და მას აქვს საკმაოდ დიდი რესურსები დაგროვილი გაუნაწილებელი მოგების სახით. კომპანიის მიმდინარე ვალდებულებები არ აღემატება კომპანიის მიმდინარე აქტივებს. კომპანიის ანგარიშებზე არსებული ფულადი ნაშთები და დაგაეგმილი შემოსავლები ფარავენ კომპანიის მიმართ წამოყენებულ ან მოსალოდნელ მოთხოვნების ან მათ მნიშვნელოვან ნაწილს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე კომპანია აკმაყოფილებს განგრძობითი საწარმოს პრინციპის მოთხოვნებს საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ 12 თვის მანძილზე.

16. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია

კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ 2024 წლის 20 სექტემბერს.

შპს ინსეკო

დირექტორი

გიორგი ასათიანი

